დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

თანამდებობრივი ინსტრუქცია

ხარისხის მართვის მენეჯერი სკოლის შინაგანაწესის თანახმად, შედის სკოლის დირექციის შემადგენლობაში.

იგი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, სკოლის შინაგანაწესით, ამ ინსტრუქციით, დირექტორის სკოლის ტერიტორიაზე სამოქმედოდ გამოცემული ბრძანებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით: მას თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამფუძნებელი. ხარისხის მართვის მენეჯერი ანგარიშვალდებულია სკოლის დამფუძნებლისა და დირექტორის წინაშე. მისი სახელფასო სარგო განისაზღვრება სკოლის საშტატო განრიგით.

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერი :

* ახორციელებს ამ ინსტრუქციის შესაბამისად საქმიანობას, უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე არსებული ამოცანების და ფუნქციების შესრულებას;

* ანაწილებს ფუნქციურ მოვალეობებს დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს ;

* ახორციელებს კონტროლს მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების, სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვაზე;

* ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯმენტს;

* აკონტროლებს საგაკვეთილო პროცესში ინოვაციური ხერხებისა და

მეთოდების დანერგვას, კლასების მუშაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიმდინარეობას და ყოველდღიურ ან ყოველკვირეულ ინფორმაციას აწვდის დირექტორს;

* ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას, იბარებს ანგარიშს და აწვდის დირექტორს. ესწრება გაკვეთილებს, ამოწმებს გაკვეთილებზე აქტივობების გამოყენებას, მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, აკონტროლებს თემატურ-კალენდარული გეგმების გაწერასა და მის შესრულებას;

* სწავლების ახლებურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ხელსუწყობს მასწავლებლებს აქტიური მეთოდების დანერგვაში;

* ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე;

* საგნის მასწავლებელთან ერთად, ხელმძღვანელობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში; აძლევს მითითებებს მოდიფიცირებული სასწავლო Gგეგმის შესაქმნელად;

* იკვლევს და ეცნობა პედაგოგთა პროფესიული განვითარების რეალურ მდგომარეობას;

* ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას;